



№ 1/1/287

06.11 2024


ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „ევროპული სკოლის“ მასწავლებლების სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ

შპს „ევროპული სკოლის“ წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული სახით დამტკიცდეს შპს „ევროპული სკოლის“ მასწავლებლების სახელმძღვანელოს ახალი რედაქცია, ქართულ და ინგლისურ ენებზე.
2. წინამდებარე ბრძანებისა და მის საფუძველზე დამტკიცებული მასწავლებლების სახელმძღვანელოს ახალი რედაქციის შესაბამისი პირებისთვის გაცნობა დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელს.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ევროპული სკოლის“ მასწავლებლების სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ შპს „ევროპული სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 30 ნოემბრის #1/1/89 ბრძანება.
4. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).





სოფიო ბაზაძე
სკოლის დირექტორი
შპს „ევროპული სკოლა“



European School LLC
შპს ევროპული სკოლა

მასწავლებლების სახელმძღვანელო

გადახედვის სიხშირე: ყოველწლიური

მომზადებულია: ევროპული სკოლის თანამშრომელთა მიერ

დოკუმენტის შემუშავების თარიღი: ოქტომბერი, 2018

დოკუმენტის გადახედვის ბოლო თარიღი: ნოემბერი, 2024

ბოლო გადახედვა: ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის/იურიდიული სამსახურის მიერ



სოფიო ბაზაძე
დირექტორი



2 I. Skhirtladze Str. Tbilisi, 0177, Georgia
Tel: (032) 239 59 64,
info@europeanschool.ge
www.europeanschool.ge
ს/კ: 205172917

მასწავლებლების სახელმძღვანელოს შექმნის მიზანი

სკოლები ქმნიან მასწავლებლების სახელმძღვანელოს რათა დარწმუნდნენ, რომ როგორც ძველ, ისე ახალ მასწავლებლებს აქვთ ინფორმაცია აუცილებელი პროცედურების შესახებ. სახელმძღვანელო მასწავლებლებს ეხმარება სიტუაციებში, როდესაც ისინი დარწმუნებულნი არ არიან, თუ როგორ იმოქმედონ.

პროცედურები და აღწერები "როგორ ვაკეთებთ საქმეს სკოლაში" ძალიან მნიშვნელოვანია შემდეგი მიზნით:

- შეცდომებისა და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად;
- რათა, ვიცოდეთ ვისთან მივიდეთ როდესაც გვაქვს პრობლემა, იდეა ან დასაზუსტებელი საკითხი;
- შეთანხმებული პროტოკოლის დასაცავად ისე, რომ უზრუნველვყოთ მოსწავლეების, მშობლებისა და საკუთარი ქცევის კონსისტენტურობა;
- ჩვენ ვხდებით ეფექტური სკოლა იმ გუნდით, რომელიც ამყარებს კომუნიკაციას და თანამშრომლობს ერთმანეთთან.

მასწავლებლის სახელმძღვანელოს ძირითადი შემადგენელი ნაწილია ფაქტები - როდის ვიწყებთ სამუშაო დღეს, როგორი არის გაკვეთილების ხანგრძლივობა, როდის არის შესვენების (ლანჩის) დრო და ა.შ. ყველა მასწავლებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია რომ წაიკითხონ, გაიგონ და დაიცვან ამ დოკუმენტში მოცემული წესები, პროცედურები და მითითებები.

სარჩევი

ვეროპული სკოლის მისია და ღირებულებები	4
გუნდური მუშაობა და ერთგულება	4
კომუნიკაცია.....	5
გუნდის პროფილი.....	5
ყველა მასწავლებელი აშკარა წვლილს შეიტანს:.....	6
პასუხისმგებლობები	6
სამუშაო საათები.....	6
გაცდენები	6
თანამშრომელთა შეხვედრები.....	7
განსაკუთრებული პასუხისმგებლობის სფეროები	8
პროფესიული გარეგნობა.....	8
პროფესიული განვითარება.....	8
შეფასება.....	9
მასწავლებლის სამუშაო აღწერილობა	9
მასწავლებლების ვალდებულებები და პასუხისმგებლობები:.....	9
კლასის დამრიგებელი.....	10
კოორდინატორების ვალდებულებები და პასუხისმგებლობები:.....	11
უსაფრთხოება	12
სასწავლო გეგმა.....	13
მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრი.....	13
კლასგარეშე საქმიანობა.....	14
საშინაო დავალებები.....	15
ტურები და ექსკურსიები.....	15
ცხრილი	16
კომუნიკაცია მშობლებთან	17
მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია (PTA).....	17
გამოფენები.....	17

გამოფენა:	18
შეფასება.....	18
დაკვირვება.....	18
რესურსები.....	19
მოსწავლეთა ფაილები და პორტფოლიოები	19
ქცევის მოლოდინები.....	19
გაცდენის და დასწრების პროცედურა	20
სხვადასხვა	20
საგანგებო ევაკუაცია	20
მოწევა	21
წლის დასასრულის მოლოდინები	21
ხელშეკრულებები	21

ევროპული სკოლის მისია და ღირებულებები

“ევროპული სკოლა” მოსწავლეებს სთავაზობს საუკეთესო განათლებას მზრუნველ და აკადემიური გამოწვევებით აღსავსე გარემოში, აძლევს შესაძლებლობას, მიაღწიონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს და გახდნენ ქმედითუნარიანი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალური მოქალაქეები.

ჩვენი, ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო განათლება, ეყრდნობა იმ ძირულ ფასეულობებს, რომლებიც შერწყმულია “ევროპული სკოლის“ ყველა აკადემიურ თუ კლასგარეშე ღონისძიებასთან. ჩვენთვის პრიორიტეტულია ის ოთხი ფუნდამენტური ღირებულება, რომელიც ჩვენი საქმიანობის საფუძველია, კერძოდ:

- ინოვაციის გზით სვლა;
- სწრაფვა სრულყოფილებისკენ;
- განვითარება სწავლის საშუალებით;
- გლობალური მოქალაქეობა.

ამ ძირული ღირებულებებით ჩვენ წავახალისებთ დამოუკიდებლად სწავლას და მოსწავლეებს საშუალებას ვაძლევთ, გაითავისონ პასუხისმგებლობა. “ევროპულ სკოლაში“ სწავლობენ მრავალფეროვანი კულტურის დაფასებას მისი მიღებითა და ტოლერანტობით. ეს მოსწავლეებს ეხმარება, გახდნენ მსოფლიო მოქალაქეები.

გუნდური მუშაობა და ერთგულება

ჩვენ ველით, რომ მასწავლებლები ყოველთვის იმოქმედებენ სკოლის ინტერესების დაცვით: მასწავლებელი უნდა იყოს მეგობრული და ღია მოსწავლეებისა და მშობლების შეკითხვებისთვის, ითანამშრომლოს გუნდის სხვა წევრებთან და იყოს სკოლის დირექტორისა და მენეჯმენტის ერთგული. მასწავლებლებმა ყველა დროს უნდა დაიცვან მკაცრი კონფიდენციალობა ყველა საკითხზე, რომლებიც ეხება მოსწავლეებს, თანამშრომლებს, სკოლის შიდა დოკუმენტებს და წესებს.

ერთმანეთის ურთიერთპატივისცემა და კეთილგანწყობა აუცილებელია სკოლის პროდუქტიული და წამახალისებელი გარემოსთვის. მასწავლებლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომ მაგალითით ხელი შეუწყოს ისეთ ატმოსფეროს, რომელიც ურთიერთპატივისცემითა და მეგობრულობით გამოირჩევა.

კომუნიკაცია

კომუნიკაცია ევროპულ სკოლაში არის

- ნათელი;
- პატივისცემაზე დამყარებული;
- ღია, პატიოსანი და კონკრეტული;
- დროისა და ადგილის შესაბამისი;
- პირდაპირი და მყისიერი;
- პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული.

მასწავლებლებს ევალებათ მათი ელექტრონული ფოსტის მინიმუმ დღეში ერთხელ შემოწმება. უნდა წაიკითხოთ ელექტრონული წერილები და სადაც საჭიროა გასცენ პასუხი. მასწავლებლებს ევალებათ, რომ დასვან შეკითხვა თუ ნებისმერი ელექტრონული წერილი ან წერილის ნაწილი მათთვის არის გაუგებარი.

კომუნიკაციის ხაზები მნიშვნელოვანია სკოლის მუშაობის ეფექტურობისთვის და გუნდში ნდობისა და საიმედოობისათვის. როდესაც თქვენ გაქვთ ინფორმაცია, ნათლად მოიფიქრეთ თუ ვინ უნდა იცოდეს ეს და უზრუნველყავით შესაბამისი პირის ან ხალხის ინფორმირება სათანადო დროს. მასწავლებლებმა არ უნდა იგრძნონ თავი უხერხულად მენეჯმენტის გუნდის შესაბამისი წევრების ინფორმირებაზე და უნდა იცოდნენ, რომ ისეთ მიზეზებს როგორცაა „ მე მეგონა დაკავებული იყავით“ და „არ მინდოდა თქვენი შეწყუბება“ არ მოაქვს სარგებელი.

გუნდის პროფილი

ევროპულ სკოლაში მასწავლებლებს ევალებათ:

- გააცნობიერონ, რომ ისინი არიან პროფესიონალთა გუნდის ნაწილი, რომლებიც თანამშრომლობენ ყველა პროგრამის კონტინუუმში.
- იყვნენ პრინციპულები და თავდაჯერებულები, რათა საჭიროების შემთხვევაში გასწიონ რისკი და შეხვდნენ ახალ გამოწვევებს სწავლის, კვლევისა და მოსწავლის განვითარების ყველა ასპექტში.
- მისცენ მოსწავლეებს მაგალითი ინფორმაციის მოთხოვნის საკითხში და ზოგადად სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტში, რათა ხელი შეუწყონ მოსწავლის განვითარებას იმ საგნებისა და სფეროების კონტექსტში, რასაც ისინი სწავლობენ.
- გაითვალისწინონ და პატივი სცენ ადამიანთა შორის ინდივიდუალურ და კულტურულ განსხვავებებს.
- დამოუკიდებლად და ევროპული სკოლის საზოგადოების მხარდაჭერით, სამართლიანად გაანალიზონ თავიანთი პროფესიული როლი იმისთვის, რომ განავითარონ კარგი პრაქტიკა
- ჰქონდეთ ეფექტური, მიმღებლური და შემოქმედებითი კომუნიკაცია
- იყვნენ მზრუნველები და თანაგრძნობის უნარის მქონენი საკუთარ თავთან, სხვებთან და გარემოსთან მიმართებაში.
- იყვნენ ურთიერთ-შემავსებელი მოთამაშეები დაბალანსებულ გუნდში, რომელიც აღიარებს

რომ თითოეულ ჩვენგანს აკისრია მნიშვნელოვანი როლი, რათა სკოლამ სათანადოდ იფუნქციონიროს ჩვენი ახალგაზრდებისთვის.

ყველა მასწავლებელი აშკარა წვლილს შეიტანს:

- წამახალისებელი სასწავლო გარემოს შექმნაში კლასში და მის გარეთ, გაკვეთილზე და გაკვეთილებს შორის.
- მოსწავლეების განვითარებაში და მათში ისეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში, სადაც იკვეთება, რომ ისინი აცნობიერებენ სწავლის მნიშვნელობას.
- დისციპლინის შენარჩუნებაში კლასში და კლასს გარეთ, სკოლის ტერიტორიაზე და სასკოლო ექსკურსიების, ვიზიტების და მოგზაურობის დროს.
- მოსწავლის თვითდისციპლინის და თვითგამორკვევის უნარის განვითარებაში, რისი შედეგიცაა პასუხისმგებლობა და პასუხისმგებელი მოსწავლეები.
- მოსწავლის განვითარების კონტინუუმის შემუშავებით სკოლის მასშტაბით, რაც მიიღწევა ისეთი პროგრამებით აქტიური დაინტერესებით, რომელიც განსხვავდება იმისგან, რასაც თავად ასწავლიან და რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებას.
- მოსწავლეთა ენობრივ განვითარებაში მათი საგნების კონტექსტის მიხედვით.

პასუხისმგებლობები

სამუშაო საათები

სრულ განაკვეთზე მყოფი მასწავლებლები მუშაობენ ყოველ სამუშაო დღეს 8:45 საათიდან 17:00 საათამდე.

ნახევარ განაკვეთზე მყოფი მასწავლებლები მოდიან სკოლაში, რომ ჩაატარონ გაკვეთილები და შეუძლიათ დატოვონ სკოლა ნებისმიერ დროს, გაკვეთილების ჩატარების შემდეგ. ისინი ვალდებული არიან დაესწრონ დეპარტამენტის, თანამშრომლებისა და მშობლების შეხვედრებს, ისევე როგორც ტრენინგების სესიებს.

კოორდინატორებს და სკოლის სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს მოეთხოვებათ სკოლაში ყოფნა 8:45 საათიდან 17:00 საათამდე.

გაცდენები

თუ მასწავლებელს არ შეუძლია მოვიდეს სკოლაში ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო, ის უნდა დაუკავშირდეს უშუალო ხელმძღვანელს, რაც შეიძლება დროულად, სასურველია გაცდენამდე ერთი დღით ადრე მაინც.

მასწავლებლის მიერ სამსახურის გაცდენის შემთხვევაში, მთავარი მიზანია, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაბამისი, საინტერესო დავალებები დამოუკიდებლად შესასრულებლად. ასეთი გაკვეთილები არ უნდა იქნას განხილული როგორც "თავისუფალი" გაკვეთილები, სხვა თანამშრომლების შესაძლებლობად, რომ ასწავლონ საკუთარი საგანი ან ჩაერთონ სხვა საქმიანობაში. წინასწარ ნავარაუდები გაცდენები სამედიცინო ან სხვა მიზეზების გამო უნდა იყოს შეთანხმებული უშუალო ხელმძღვანელთან და სკოლის დირექტორთან, ასევე ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს. ეს წესები ვრცელდება როგორც სრულ, ისე ნახევარ განაკვეთზე მომუშავე მასწავლებლებზე.

ყველა მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს და განაახლოს რესურსების პაკეტი, რათა მოემზადოს ნებისმიერი გაუთვალისწინებელი გაცდენისთვის. რესურსების პაკეტი უნდა შეიცავდეს კლასის სიას კონკრეტული შენიშვნებით მოსწავლეების შესახებ, დღიურ განრიგს (ბიბლიოთეკის დროების, მოვალეობების და საშინაო დავალებების ინფორმაციის ჩათვლით), იმ საქმიანობის ნუსხას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მიმდინარე სასწავლო გეგმის მიღმა და სამუშაო ფურცლების ასლებს საკმარისი რაოდენობით. რესურსების პაკეტი ინახება შესაბამისი პროგრამის კოორდინატორთან/ხელმძღვანელთან (შემდგომში - კოორდინატორი).

პროგრამის კოორდინატორი უზრუნველყოფს შემცვლელი მასწავლებლის მოძიებას და ყველა სათანადო თანამშრომელს ატყობინებს დაფიქსირებული/მოსალოდნელი გაცდენის შესახებ.

თანამშრომელთა შეხვედრები

დირექტორის და მასწავლებლების შეხვედრები ტარდება სემესტრის დასაწყისში და დასასრულს დეპარტამენტების მიხედვით. ასეთი შეხვედრები შეიძლება, ასევე, დაიგეგმოს სემესტრის განმავლობაში, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. დირექტორი ყოველკვირეულად ხვდება პროგრამის კოორდინატორებს და დეპარტამენტების უფროსებს.

ევროპულ სკოლაში მასწავლებლები უნდა გამოცხადდნენ სკოლაში სასწავლო წლის დაწყებამდე ორი კვირით ადრე და სულ მცირე ერთი კვირით ადრე მეორე სემესტრის დაწყებამდე. ამ დროის განმავლობაში, თანამშრომლები გაივლიან მოსამზადებელ და პროფესიული განვითარების სესიებს.

თანამშრომელთა რეგულარული შეხვედრები სხვადასხვა პროგრამაში, როგორც წესი, ტარდება ორ კვირაში ერთხელ, მაგრამ შეხვედრების რეგულარობა შეიძლება დამოკიდებული იყოს სხვადასხვა პროგრამის კოორდინატორების მოთხოვნებზე. კოორდინატორები კვირაში ერთხელ მაინც ხვდებიან კლასის დამრიგებლებს.

თუ მასწავლებელი ვერ ესწრება შეხვედრას, მან ეს უნდა აცნობოს კოორდინატორს და შეხვედრაზე პასუხისმგებელ პირს.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობის სფეროები

ევროპული სკოლის თითოეულ მასწავლებელს შესაძლოა ჰქონდეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობაც კონკრეტულ სფეროზე. შეთანხმება განსაკუთრებული პასუხისმგებლობის სფეროებზე, როგორც წესი, მიიღწევა სასწავლო წლის დასაწყისში, მაგრამ მასწავლებლებს შეიძლება ასევე მოეთხოვოს დამატებითი პასუხისმგებლობის აღება წლის განმავლობაში. სკოლის დირექტორი და პროგრამის კოორდინატორი პასუხისმგებელი არიან განსაკუთრებული პასუხისმგებლობის განაწილებაზე. განსაკუთრებული პასუხისმგებლობის სფეროების მაგალითებია:

- დერეფნის მონიტორინგი
- გამოცდაზე დაკვირვება
- შემცველი მასწავლებლის ფუნქციის შესრულება

ასევე, მასწავლებლებს შეიძლება მოუწიოთ საველე გასვლების ორგანიზება და სხვა.

პროფესიული გარეგნობა

ჩაცმულობის და გარეგნობის ზოგადი მითითებები: მასწავლებლები ვალდებული არიან ეცვათ ფორმალური ტანსაცმელი. ნებისმერ დროს საჭიროა იყვნენ აკურატულნი და მოწესრიგებულნი. ქალბატონებს არ შეუძლიათ ეცვათ ღრმად ამოჭრილი კაბები/ზედატანები და არაადეკვატური სიგრძის ქვედაბოლოები (ძალიან მოკლე). არ არის დაშვებული ნებისმიერი ფერის ჯინსი. გამონაკლისი არის ექსკურსიები. აგრეთვე, სავარჯიშო შარვლები/სპორტულები არ ითვლება პროფესიულ ჩაცმულობად. სავარჯიშო შარვლების ჩაცმა შეიძლება მხოლოდ სპორტის მასწავლებლებისთვის. რაც შეეხება ფეხსაცმელს, არ შეიძლება სანდლების ტარება.

პროფესიული განვითარება

მასწავლებლების პროფესიული განვითარება არის ძალიან მნიშვნელოვანი ევროპულ სკოლაში და ხორციელდება სკოლაში მოქმედი პროფესიული განვითარების პოლიტიკის შესაბამისად.

პროფესიული განვითარების გეგმები მუშავდება ყოველი აკადემიური წლისთვის, ტრენინგის საჭიროებების და მოთხოვნების შესაბამისად.

ევროპულ სკოლაში ხდება პერსონალის თითოეული წევრის წახალისება, რათა მიიღოს აქტიური მონაწილეობა და გამოიჩინოს ინიციატივა საკუთარ პროფესიულ განვითარებაში.

სკოლა მიმართავს პროფესიული განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობებს როგორცაა სკოლის შიდა, ადგილობრივი, საერთაშორისო და ონლაინ ტრენინგები/სემინარები/კურსები და ა.შ.

პროფესიული განვითარების პროცესს ახორციელებს სკოლის დირექტორი, პროგრამის კოორდინატორები და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.

შეფასება

მასწავლებელთა შეფასების სისტემა აფასებს აკადემიური პერსონალის მუშაობას რამდენიმე წინასწარგანსაზღვრული სტანდარტის საფუძველზე, რომელიც ფოკუსირებულია საკლასო დაკვირვების შედეგებზე, კოლეგებზე დაკვირვების შედეგებზე, თვითშეფასების შედეგებზე (მასწავლებელთა პორტფოლიო), მშობლების კვლევების შედეგებზე და მოსწავლეების მიერ აკადემიური წლის განმავლობაში მიღწეულ შედეგებზე.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, გაეცნოთ სკოლაში მოქმედ შეფასების პოლიტიკას.

მასწავლებლის სამუშაო აღწერილობა

ყველა მასწავლებელს უნდა ჰქონდეს სამუშაო აღწერილობა. ქვემოთ მოცემულია დოკუმენტის ზოგადი მონახაზი.

მასწავლებლები უნდა მოემზადონ თავიანთი გაკვეთილებისათვის ისე, როგორც ამას მოითხოვს მათი დეპარტამენტის უფროსი. ეს, როგორც წესი, ნიშნავს თითოეული კურსის მიმოხილვის დაგეგმვას მთელი წლისათვის.

მასწავლებლები უნდა დაესწრონ პროფესიული განვითარების სესიებს. ონლაინ სესიების დროს პრობლემის გაჩენის შემთხვევაში, მასწავლებლებმა დროულად უნდა ჩააყენონ საქმის კურსში პროგრამის კოორდინატორი.

მასწავლებლების ვალდებულებები და პასუხისმგებლობები:

- სასწავლო პროგრამის მიზნებისა და ინდიკატორების შესაბამისი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა; კომპეტენციის ფარგლებში უსაფრთხო და მოსწავლის ინტერესებს მორგებული სასწავლო გარემოს შექმნა;
- სემესტრული სილაბუსებისა და თემატური გეგმის შედგენა; შეფასების რუბრიკების შექმნა და შეფასების სტრუქტურის შესახებ მოსწავლეების მუდმივი ინფორმირება;
- სასწავლო პროგრამის შესაბამისი მეთოდების გამოყენება; მოსწავლეთა ასაკობრივი და სხვა ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე, სასწავლო მეთოდების შერჩევა და სასწავლო პროცესის წარსამართად მათთვის აუცილებელი რესურსების მიწოდება;
- სასწავლო პროგრამით/სილაბუსით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მონიტორინგი და შეფერხების შემთხვევაში დროული რეაგირება;
- გაკვეთილების დაგეგმვა, ჩატარება და საგაკვეთილო პროცესის მართვა;
- მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობაზე ზრუნვა; ნებისმიერი პრობლემის/შეფერხების შემთხვევაში დროული რეაგირება; დამრიგებლის, დეპარტამენტის

ხელმძღვანელის, მშობლის ან სხვა პასუხისმგებელი პირის ინფორმირება;

- მოსწავლეთა ცოდნის შეფასების მიზნით შემაჯამებელი, სადიაგნოსტიკო და სხვა სახის ტესტების მომზადება; ტესტის შედეგების ანალიზი, რეფლექსია, მოსწავლეებისთვის დროული და კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა; მოსწავლეთა ტესტების/ნამუშევრების შენახვა სკოლაში დადგენილი სტანდარტების მიხედვით;
- სასწავლო პროექტების დაგეგმვა-განხორციელება;
- საჭიროებისამებრ მოსწავლეებისთვის დამატებითი გაკვეთილების ჩატარება;
- საჭიროებისამებრ კლასგარეშე სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის შერჩევა, დამოწმება და მოსწავლეებისთვის დროული მიწოდების უზრუნველყოფა;
- იმ კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვა, შესრულება და განხორციელება, რომლებიც ხელს უწყობს სილაბუსით გათვალისწინებული პროგრამის შესწავლას;
- საჭიროებისამებრ Extended Essay-ის ხელმძღვანელობა;
- საჭიროებისამებრ სადიპლომო თემის ხელმძღვანელობა და მოსწავლეებისთვის დროული უკუკავშირის მიწოდება;
- მშობელთა კრებებზე დასწრება, კრებებისთვის შესაბამისი რეპორტების მომზადება; საჭიროებისამებრ მშობლებთან მოსწავლეთა აკადემიური მდგომარეობის ინდივიდუალური განხილვა;
- ელექტრონული ჟურნალის წარმოება: საშინაო დავალებების შეტანა, საჭიროების შემთხვევაში თითოეულ მოსწავლეზე რეპორტების დაწერა, მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა, ქულებისა და კომენტარების სახით დოკუმენტაციის წარმოება;
- დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინფორმირება სასწავლო გეგმის მიმდინარეობისა და შესრულების შესახებ;
- დეპარტამენტის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის მიღება; პროფესიული სიახლეების მუდმივი გაცნობა-ათვისება;
- საგნის პორტფოლიოს სრულყოფილი წარმოება;
- კომპეტენციის ფარგლებში მოსწავლეების უსაფრთხოებაზე ზრუნვა;
- კომპეტენციის ფარგლებში უშუალო უფროსის სხვა დავალებების შესრულება.
- დაიცვას შინაგანაწესი, სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები და უსაფრთხოების ნორმები;

კლასის დამრიგებელი

- სასწავლო წლის დასაწყისში მთლიანი სასწავლო პროცესის დაგეგმვა; სემესტრის დასაწყისში დეტალური გეგმის გაწერა და სემესტრის ბოლოს გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენა;
- სადამრიგებლო კლასის სასწავლო პროცესის მართვა; ნებისმიერი შეფერხების/პრობლემის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივი რეაგირება;
- მოსწავლეთა საზოგადოებრივ აქტივობებსა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის უზრუნველყოფა;
- მოსწავლეთა მოტივირების, ჩართულობისა და მაღალი აკადემიური მიღწევების ხელშეწყობა: მშობლებთან, მასწავლებლებთან, ფსიქოლოგთან თანამშრომლობა;
- კლასის საათების ჩატარება და მოსწავლეების ინფორმირება სასკოლო სიახლეების, რეგულაციების, წესებისა და მათი უფლებების შესახებ;
- მოსწავლეთა უზრუნველყოფა სასწავლო პროცესისთვის საჭირო სასწავლო რესურსებით;

ნებისმიერი პრობლემის არსებობის შემთხვევაში დროული რეაგირება;

- დამრიგებლის პორტფოლიოს სრულყოფილი წარმოება;
 - საჭიროებისამებრ ექსკურსიებისა და სხვა კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება;
 - მშობელთა კრებების ორგანიზება, კრებებისთვის რეპორტების მომზადება;
- საჭიროებისამებრ მშობლებთან მოსწავლეთა აკადემიური მდგომარეობის ინდივიდუალური განხილვა;
- ელექტრონულ ჟურნალში მოსწავლეების შეფასებების გაცნობა და საჭირო ინფორმაციის შეტანა;
 - კომპეტენციის ფარგლებში მოსწავლეების უსაფრთხოებაზე ზრუნვა;
 - კომპეტენციის ფარგლებში უშუალო უფროსის სხვა დავალებების შესრულება.
 - დაიცვას შინაგანაწესი, სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები და უსაფრთხოების ნორმები;

კოორდინატორების ვალდებულებები და პასუხისმგებლობები:

- პროგრამის კლასებში სასწავლო პროცესის კოორდინირება და კომპეტენციის ფარგლებში უსაფრთხო და მოსწავლის ინტერესებს მორგებული სასწავლო გარემოს შექმნა;
- მოსწავლეთა სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მართვა და კომპეტენციის ფარგლებში სასწავლო პროცესის უწყვეტი მიმდინარეობის უზრუნველყოფა;
- მოსწავლე-მასწავლებლების დაგვიანებათა კონტროლი და სასწავლო პროცესის შეფერხების შემთხვევაში დაუყოვნებლივი რეაგირება;
- მასწავლებლების დახმარება ძიებაზე დაფუძნებული გაკვეთილების დაგეგმვასა და განხორციელებაში; ჰორიზონტალური და ვერტიკალური დაგეგმვის უზრუნველყოფა;
- მოსწავლეთათვის დამატებითი ჯგუფური ან/და ინდივიდუალური გაკვეთილების ჩატარების ორგანიზება;
- მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მოსწავლის სასწავლო პროცესში ინტეგრირების მიზნით მასწავლებელთან თანამშრომლობა;
- სასწავლო წლის დასაწყისში პროგრამის კლასების საერთო და ცალკეული კურიკულუმის მონიტორინგი და საჭიროებისამებრ მოდიფიცირება;
- სემესტრის მანძილზე პროგრამის მიზნების შესრულების მონიტორინგი და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება;
- პროგრამის ინოვაციაზე მუშაობა, მოთხოვნებთან შესაბამისი პროგრამის დანერგვის უზრუნველყოფა;
- წლიური კალენდრის შემუშავება - სასკოლო ღონისძიებების ორგანიზება და მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა; კლასებში სასწავლო პროგრამის ასათვისებლად საჭირო კლასგარეშე აქტივობებისა და ღონისძიებების ორგანიზების უზრუნველყოფა;
- კომპეტენციის ფარგლებში კლასების უზრუნველყოფა სასწავლო რესურსებითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;
- სასწავლო პროცესის კოორდინირება; მოსწავლეების/მასწავლებლების ინფორმირება სკოლაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესების, აგრეთვე ახალი წესებისა და ნორმების შესახებ;
- მოსწავლეების ინფორმირება მათი უფლებების შესახებ;

- დაქვემდებარებული თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, საინფორმაციო და პროფესიული განვითარებისთვის საჭირო შეხვედრების ორგანიზება;
- პროგრამის მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრება, შეფასება დადგენილი ფორმის მიხედვით, რეფლექსია და სათანადო რეკომენდაციების გაცემა;
- ახალი მასწავლებლებისთვის პროგრამისა და სკოლის მოწყობის დეტალური გაცნობა, სოციალიზაციის პროცესში დახმარების აღმოჩენა;
- კლასის დამრიგებლებთან და მასწავლებლებთან ყოველკვირეული შეხვედრა და პრობლემების განხილვა, დირექტივებისა და რეკომენდაციების მიცემა; კლასების სადამრიგებლო მუშაობის ორგანიზება და კონტროლი;
- მოსწავლეთა მშობლებთან თანამშრომლობა - კრებების ორგანიზება და დასწრება; საჭიროების შემთხვევაში მოსწავლის აკადემიური მდგომარეობის ინდივიდუალური განხილვა;
- საგნის პორტფოლიოსა და დოკუმენტაციის სრულყოფის მონიტორინგი;
- მოსწავლეთა პირადი საქმეების მონიტორინგი და დოკუმენტაციის სრულყოფის უზრუნველყოფა;
- კომპეტენციის ფარგლებში მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა;
- პროგრამის დოკუმენტაციის წარმოება და სრულყოფა;
- ელექტროჟურნალში ყველა საჭირო ინფორმაციის არსებობის მონიტორინგი;
- სკოლის ვებსაიტზე პროგრამის ნაწილის კოორდინირება და ინფორმაციის განახლების კოორდინირება;
- ყოველკვირეული ანგარიში დირექტორთან;
- დამამთავრებელი, სადიაგნოსტიკო და სხვა სახის გამოცდების/ტესტების ორგანიზება, მონიტორინგი; გამოცდის /ტესტის ჩასატარებლად საჭირო მასალებისა და გარემოს უზრუნველყოფა;
- პროგრამის მასწავლებლების მიერ უფლება-მოვალეობების ჯეროვნად შესრულების მონიტორინგი;
- ექსტრაკურსულუმის აქტივობების მონიტორინგი;
- კომპეტენციის ფარგლებში უშუალო უფროსის სხვა დავალებების შესრულება.
- დაიცვას შინაგანაწესი, სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები და უსაფრთხოების ნორმები;

უსაფრთხოება

ევროპული სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხო და მზრუნველ გარემოს საზოგადოების ყველა წევრისთვის. ჩვენი მიზანია რომ:

- მოხდეს ისეთი შემთხვევების პრევენცია, რომლებიც საჭიროებენ გარეშე სამედიცინო მკურნალობას და ასეთი შემთხვევების შემცირება;
- ისეთი შემთხვევების/გარემოებების/პირობების შემცირება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უბედური შემთხვევა;
- მშობლების ინფორმირება ნებისმიერი ისეთი შემთხვევის შესახებ, რასაც შეიძლება მოგვიანებით ყურადღების მიქცევა დასჭირდეს (მაგალითად: თუკი მოსწავლემ რაიმე დაიზიანა და ა.შ.)
- უსაფრთხოების ცნობიერების მუდმივი ამაღლება.

სასწავლო გეგმა

ევროპულ სკოლაში თითოეულ პროგრამას აქვს საკუთარი სასწავლო გეგმის სახელმძღვანელო. მასწავლებლები ვალდებული არიან წაიკითხონ და გაიგონ ყველა დოკუმენტი, რომელიც ეხება მათ საგანს და პროგრამას. მასწავლებლები პასუხისმგებელი არიან სასწავლო გეგმის სახელმძღვანელოს შექმნაზე და მის გადაცემაზე შესაბამისი კოორდინატორებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის (ინტერესის შემთხვევაში) და სკოლის დირექტორისთვის, მოთხოვნის/საჭიროების შემთხვევაში.

მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრი

მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, “ევროპულ სკოლაში“ ფუნქციონირებს მოსწავლეთა დახმარების ცენტრი.

მოსწავლეთა დახმარების ცენტრი შეიქმნა იმ მიზნით, რომ ყველა მოსწავლეს შევუქმნათ თანაბარი გარემო საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისა და წარმატების მისაღწევად.

მოსწავლეთა დახმარების ცენტრის მიზანია, მოზარდებმა შეიძინონ სოციალური წარმატებისა და თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნა და უნარები, რათა შეძლონ სწავლა, მუშაობა ნებისმიერ საზოგადოებაში.

მოსწავლეთა დახმარების ცენტრში ერთიანდება:

- სწავლის ხელშეწყობის პროგრამა;
- ინგლისური ენის გაუმჯობესების პროგრამა;
- დრამის ინგლისურენოვანი პროგრამა;
- საქართველოს საუნივერსიტეტო განათლების მრჩეველი;
- საერთაშორისო საუნივერსიტეტო განათლების მრჩეველი;
- ფსიქოლოგიური სამსახური;
- ლოგოპედიური სამსახური;
- სამედიცინო სამსახური;
- ევროპული სკოლის ტელევიზია ESTV.

საგანმანათლებლო გარემოს გასაძლიერებლად და გასამდიდრებლად, ევროპული სკოლა სთავაზობს სკოლის შემდგომი აქტივობების ფართო არჩევანს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც უნდათ რაიმე ახლის აღმოჩენა და სწავლა. ეს აქტივობები შესაძლებელია მოიცავდეს (თუმცა არ შემოიფარგლება):

- ფეხბურთის კლუბს
- კალათბურთის კლუბს
- ჩოგბურთის კლუბს

- ფრენზურთის კლუბს
- როლერ კლუბს
- ჭადრაკის კლუბს
- კარატეს კლუბს
- მუსიკისა და ვოკალის კლუბს („Q-Music”, POP Music)
- თანამედროვე ცეკვის (ჰიპ-ჰოპი) კლუბს
- ქართული ხალხური ცეკვის კლუბს
- დრამის კლუბს
- ფსიქოთერაპიის კლუბს
- ესპანური ენის კლუბს
- იტალიური ენის კლუბს
- რობოტიკისა და კოდირების კლუბს
- ჩინური ენის კლუბს
- რუსული ენის კლუბს
- პროდუქტის დიზაინის კლუბს
- ციფრული დიზაინის კლუბს
- საინჟინრო კლუბს
- თამაშების პროგრამირების კლუბს
- არტთერაპიის კლუბს (მერწვა/კერამიკა/ხატვა)
- ხატვის კლუბს
- თექის კლუბს
- ტელეხელოვნების კლუბს
- გიტარის კლუბს
- „Digital design“-ის კლუბს
- “ანიმაციის” კლუბს
- კლუბს - “მოსაუბრე წიგნები”
- მაგიდის ჩოგბურთი - პინგ-პონგის კლუბს
- ქართული ხალხური სიმღერის კლუბს

საშაბათო კლუბები

- ლიტერატურული თავგადასავალი გიორგი კეკელიძესთან ერთად
- ქართული ენა - კითხვა კეთებით
- ლიტერატურული სახელოსნო
- სახალისო ლოგიკა და მათემატიკა
- მათემატიკის საოცარ სამყაროში
- მათემატიკის ბუნების საიდუმლოება
- ერთად მათემატიკურ ლაბირინთებში

კლასგარეშე საქმიანობა

ხდება ევროპული სკოლის ყველა პროგრამის (ქართული პროგრამა, IB, ASAS) მოსწავლეების წახალისება, რომ ჩაერთონ კლასგარეშე საქმიანობაში, რადგან ასეთი საქმიანობა დაეხმარება მათ უფრო განივითარონ სოციალური და ინტერპერსონალური უნარები, რომლებიც მათ დასჭირდებათ წარმატების მიღწევაში სკოლის დამთავრების შემდეგ.

ქართულ პროგრამაში კოორდინატორები, დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები პასუხისმგებელი არიან მოსწავლეთა მხარდაჭერაზე კლასგარეშე საქმიანობის ორგანიზებაში.

ამერიკულ უმაღლეს სკოლაში კლასგარეშე საქმიანობის კოორდინატორები, კლასის დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები პასუხისმგებელი არიან მოსწავლეების ხელმძღვანელობაზე მათ კლასგარეშე საქმიანობაში.

IB-ში სადიპლომო პროგრამას (DP) ჰყავს CAS კოორდინატორი, ხოლო საბაზო საფეხურის პროგრამას (MYP) კი SA კოორდინატორი (კლასგარეშე აქტივობების კოორდინატორები).

საშინაო დავალებები

საშინაო დავალებების მიცემა არის მოსწავლეებში დამოუკიდებლობის განვითარების, კვლევისა და ანალიზის უნარის განვითარების გზა. საშინაო დავალებები ასევე ასრულებს ლოკომოტივის როლს პრაქტიკით უნარების განვითარებაში. მასწავლებლები უნდა იყვნენ სამართლიანი საშინაო დავალებების დადგენის დროს და მოსწავლეების დახმარებაში, რომ დაგეგმონ მათი დრო და მოახდინონ საკუთარი განრიგის ორგანიზება. მასწავლებლებმა ყოველთვის უნდა მოუსმინონ და გაითვალისწინონ მოსწავლეების მოთხოვნები, გააანალიზონ, რომ ისინი არიან გადატვირთულები და მიიღონ გონივრული გადაწყვეტილება იმის შესახებ, არის თუ არა ესა თუ ის მოთხოვნა სამართლიანი.

ზოგადად ყველაზე კარგია, რომ საშინაო დავალებები გადანაწილდეს მთელ კვირაზე ისე, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, შეძლონ საკუთარი დროისა და საშინაო დავალებების განრიგის ორგანიზება. მცირე და მოკლე საშინაო დავალებები შეიძლება იყოს მიცემული განსაკუთრებით მაშინ, როცა დავალებები არის რუტინული.

ტურები და ექსკურსიები

მასწავლებლებმა, რომლებსაც განზრახული აქვთ მოსწავლეების ექსკურსიაზე წაყვანა, უნდა დაიცვან სკოლის დირექტორის მიერ დადგენილი პროცედურები. ექსკურსიის მოთხოვნის ინფორმაციული განცხადება უნდა წარედგინოს სკოლის დირექტორს ექსკურსიამდე მინიმუმ 10 (ათი) დღით ადრე. განცხადება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: ექსკურსიის განაცხადში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ექსკურსიის მიზნების, დაგეგმილი აქტივობების, მონაწილე პირების (მათ შორის მცირეწლოვნების), პასუხისმგებელი პირების, ექსკურსიის თარიღის და ლოკაციის შესახებ.

. ტრანსპორტის საჭიროების შესახებ უნდა მოხდეს სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერის ინფორმირება.

მშობლებს უნდა გაეზავნოს ნებართვის ფურცელი რაც შეიძლება ადრე, მაგრამ არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა ექსკურსიამდე. მშობლებისგან მიღებული უნდა იქნას ექსკურსიაზე მოსწავლის

წაყვანაზე დასტური. რეგულარულად დაგეგმილი გაკვეთილები უნდა იყოს ორგანიზებული იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც არ მიდიან ექსკურსიაზე.

ექსკურსიის ფარგლებში ავტოსატრანსპორტო საშუალებაში უნდა ინახებოდეს ცეცხლსაქრობი და პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთა სათანადო შიგთავსით. ექსკურსიაში მონაწილე სრულწლოვან პირთა შორის უნდა იყოს სულ მცირე ერთი ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უნარ-ჩვევები.

ცხრილი

სკოლის ცხრილი შედგენილია იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს მოსწავლეების, მასწავლებლების და ადმინისტრაციის საჭიროებები. როცა მასწავლებელი მუშაობს სკოლის რამდენიმე პროგრამაზე, მას მოეთხოვება იყოს მოქნილი გრაფიკის საჭიროებების კუთხით. როცა ჩვენ ვცდილობთ დავაკმაყოფილოთ მასწავლებლების მოთხოვნები გაკვეთილების განსაზღვრულ დროებში დაგეგმვასთან დაკავშირებით, სკოლისგან დამოუკიდებელი მათი გარე ვალდებულებების გამო, ამასთან, ჩვენთვის, პირველ რიგში, მთავარია მოსწავლეების საჭიროებები და ამის შემდეგ უკვე სკოლის საჭიროებები. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ შეგვიძლია იმის გარანტირება რომ შევძლებთ გრაფიკის მორგებას მასწავლებლების პირად განრიგზე, თუ ეს არ არის შეთანხმებული დასაქმების დროს (მაშინაც კი, ნაკლებად სავარაუდოა რომ ასეთ შეთანხმებებს ჰქონდეთ გადაწყვეტი მნიშვნელობა).

მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ საკუთარი ცხრილი და პატივი სცენ სხვებისას. მასწავლებლები უნდა იყვნენ ყურადღებით მათი ცხრილის განახლებისას, თუ ცვლილებები განახორციელა კოორდინატორმა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ოთახების ცვლილებას. დამთხვევების წარმოშობის შემთხვევაში, მასში ჩართული თანამშრომლები უნდა იყვნენ მომთმენნი და გაუმკლავდნენ სიტუაციას წყნარად და კულტურულად. ასეთ შემთხვევებში, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კლასები გაგრძელდეს სხვაგან რაც შეიძლება მალე და კონფლიქტი იყოს შეტყობინებული პროგრამის კოორდინატორისთვის გაკვეთილის შემდეგ.

სპეციალური ოთახების გამოყენება: მასწავლებლებმა პატივი უნდ სცენ სპეციალური ოთახების გრაფიკებს, როგორცაა სამეცნიერო ლაბორატორიები, საგამოცდო ოთახები, სპორტული დარბაზები ან ხელოვნების ან ტექნოლოგიური ოთახები. თუ თქვენ გინდათ სპეციალური ოთახის გამოყენება თქვენი კლასისთვის, გთხოვთ მოიძიეთ ასეთი ოთახის ხელმისაწვდომობა წინასწარ და შეატყობინეთ ამ ოთახზე პასუხისმგებელ პირს. თუ ამ ოთახის გრაფიკში უკვე ჩასმულია სხვა პირი, ჰკითხეთ მას ერთი კვირით ადრე თუ მას სჭირდება ეს ოთახი – შესაძლებელია, მათ გამოიჩინონ მოქნილობა ამ საკითხში, მაგრამ დაიმახსოვრეთ, რომ ოთახის პირველად გამოყენება არის მათი უფლება. კლასების დროს ბიბლიოთეკის გამოყენებისთვის, გთხოვთ მიმართოთ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს თქვენი გაკვეთილის დროის წინასწარ დასაჯავშნად .

კომუნიკაცია მშობლებთან

სკოლაში მშობლების ჩართულობა არის აუცილებელი. მშობლები ძალიან ხშირად:

- გვაწვდიან სხვადასხვა პერსპექტივებს შვილებთან დაკავშირებით, რასაც შეუძლია ბევრი რამ გვითხრას;
- შეუძლიათ გვითხრან ბავშვის სახლის ჩვევების, ისტორიის და აღქმის შესახებ, რაც თვითონ ბავშვმა შეიძლება არ გვითხრას;
- ჰქონდეთ სხვა სკოლების გამოცდილება, საიდანაც ჩვენ შეიძლება რაღაც ვისწავლოთ;
- ჰქონდეთ სხვა ორგანიზაციების გამოცდილება, რაც შეიძლება დაგვეხმაროს, დავხვეწოთ საკუთარი თავი, როგორც საგანმანათლებლო ორგანიზაციამ;
- ჰქონდეთ სკოლის ისეთი პერსპექტივა, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ (ისინი ელოდებიან სკოლის ტრანსპორტს, ისმენენ თუ რას ამბობენ სხვა მშობლები, ისმენენ თუ რას ამბობენ ბავშვები სადილის ან ბუფეტის ან აქტივობების შესახებ და ა.შ).

აუცილებელია მშობლებთან კომუნიკაცია. ევროპულ სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი ყველა პროგრამაში, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს ჰქონდეთ კომუნიკაცია მშობლებთან (ეს სისტემა ასევე ხშირად გამოიყენება მოსწავლეების მიერ). ჩვენ ასევე გვაქვს ღია კარის პოლიტიკა იმისათვის, რომ მშობლებს შეეძლოთ სკოლაში და კლასში მოსვლა როცა უნდათ, იმის მერე რაც ამის შესახებ გააფრთხილებენ კოორდინატორებს ან კლასის/დამრიგებელს ან საგნის მასწავლებლებს. ასევე ტარდება მშობლის–მოსწავლის–მასწავლებლის შეხვედრები სულ მცირე სემესტრში ერთხელ და წლის დასაწყისში.

მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია (PTA)

მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია მოწოდებულია, გაამდიდროს მოსწავლეთა და მშობელთა გამოცდილება და ხელი შეუწყოს მათ კეთილდღეობას “ევროპულ სკოლაში” ყოფნისას. მისი მთავარი ამოცანებია:

- წახალისოს მშობელთა ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებში;
- გაამყაროს ურთიერთობა მშობლებს, მოსწავლეებს, მასწავლებლებს, თანამშრომლებსა და სკოლის ხელმძღვანელობას შორის;
- ხელი შეუწყოს ინფორმაციის გაზიარებას მშობლებსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის.

გამოფენები

სკოლა წარმოადგენს მოსწავლის ნამუშევარს იმ ფორმით, რომელიც აფასებს მიღწევას და ახდენს მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლებისა და სტუმრების ინფორმირებას კლასში მიმდინარე სწავლის შესახებ. მოსწავლის ნამუშევარი წარმოადგენილია მიმზიდველი, კრეატიული და სუფთა ფორმით. გამოფენაზე შეიძლება წარმოდგენილი იყოს ნამუშევარი, რომელზეც კვლავ მიმდინარეობს მუშაობა და არ უნდა იყოს ფოკუსირებული მხოლოდ დასრულებულ

პროდუქტზე, არამედ სწავლის პროცესზეც.

გამოფენა:

- ფოკუსირდება სწავლის პროცესზე და მოსწავლის მიღწევაზე;
- არის განთავსებული და ინახება აკურატული და სუფთა ფორმით;
- იყენებს სათაურსა და ეტიკეტს;
- იცვლება რეგულარულად;
- დამაგრებულია კედელზე ისეთი ფორმით, რომ არ დააზიანოს კედელი.

შეფასება

სამივე პროგრამას აქვს უნიკალური შეფასების სიტემა, რაც დაფუძნებულია შესაბამის სტანდარტებზე. შეფასების შესახებ მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ევროპული სკოლის შეფასების პოლიტიკაში.

დაკვირვება

მიუხედავად იმისა, აკვირდებით საკუთარი კლასის გამოცდას თუ სემესტრული გამოცდების ფორმალურ დასასრულს, ზოგადი პრინციპები არის საერთო. დაუშვებელია რომ მოსწავლეები იყვნენ ჩართულნი ნებისმიერი ფორმის არაკეთილსინდისიერ პრაქტიკაში მაგ: გადაწერა, სხვების შეწუხება, სხვების შეცდომაში შეყვანა და ა.შ. ტერმინი „ჩართულება“ ეხებათ არამარტო მათ, ვინც სარგებელს იღებენ არაკეთილსინდისიერი პრაქტიკისგან ან სხვა ქმედებებსაგან, არამედ იმათაც, ვინც სხვებს ეხმარებიან ასეთ ქმედებებში.

ზოგადად, გამოცდის/ტესტის პირობებში მოსწავლეები უნდა იყვნენ ჩუმი, ფოკუსირებული მხოლოდ მათთვის მიცემულ დავალებებზე და ეკონტაქტონ მხოლოდ მასწავლებელს. მასწავლებელთან კონტაქტისთვის, მოსწავლემ უნდა აწიოს ხელი და დაელოდოს სანამ მასწავლებელი მივა მასთან. შემდეგ მას შეუძლია ხმადაბლა ელაპარაკოს მასწავლებელს. ეს ასევე ნიშნავს რომ მასწავლებლები უნდა იყვნენ ყურადღებით. მასწავლებლები არ უნდა იყვნენ ძალიან დაკავებულნი საკუთარი დავალებებით, როცა მოსწავლეები არიან ტესტზე/გამოცდაზე.

თითოეულ პროგრამას აქვს წესები, რომელიც ხაზს უსვამს გამოცდის პროცედურებს მოსწავლეებისთვის და ჩართული მასწავლებლებისთვის/დამკვირვებლებისთვის.

რესურსები

მასწავლებლებს შეუძლიათ ყოველდღიური რესურსები (დაფის მარკერები, დაფის საშლელეები, გასაკრავი ქაღალდები და საკანცელარიო ნივთები) მოითხოვონ პროგრამის კოორდინატორებისგან. საგნის მასალებისთვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ან დეპარტამენტის უფროსს ან პროგრამის კოორდინატორს. ნებისმიერი ისეთი ნივთის მოთხოვნის შემთხვევაში, რომელიც საჭიროებს შესყიდვას, გთხოვთ, თქვენი მოთხოვნა გაუგზავნოთ სკოლის ადმინისტრაციულ მენეჯერს ელექტრონულ ფოსტაზე.

სკოლის ან სხვა კოლეგების კუთვნილ ნებისმიერ რესურს მოეპყარით პატივისცემით და სიფრთხილით. თანამშრომლებს შეიძლება მოეთხოვოთ ნივთების ჩანაცვლება, თუკი დაფიქსირდება, რომ ისინი არასაკმარისი სიფრთხილით ეპყრობოდნენ მათ.

მოსწავლეთა ფაილები და პორტფოლიოები

მოსწავლეებს აქვთ ფაილები და /ან პორტფოლიოები. ისინი შეიცავენ დასრულებულ შეფასებებს (დადგენილს, შეფასებულს და მოსწავლეებთან ერთად განხილულს). მასწავლებლებმა უნდა შეაგროვონ ყველა შემაჯამებელი შეფასებები და მოსწავლეების დავალებების ნიმუშები, რომელიც აღწერს მათ მიღწევებს და თავსდება თითოეული მოსწავლის ფაილში ან პორტფოლიოში. მოსწავლეთა პორტფოლიოები ინახება კოორდინატორების/დეპარტამენტების უფროსების ოფისებში.

კარგი აზრია, რომ შეიქმნას მოსწავლის პორტფოლიოები/ფაილები იმ კონცეფციის გათვალისწინებით, რომ თქვენ ან მოსწავლემ შეიძლება გამოიყენოთ პორტფოლიო/ფაილი, რომ მშობლებს/მეურვეებს აჩვენოთ როგორც მტკიცებულება, თუ რის მიხედვით განხორციელდა სემესტრის ბოლო შეფასებები.

ქცევის მოლოდინები

მოსწავლეებს მოეთხოვებათ რომ მოიქცნენ თანაბარი პატივისცემით ყველა თანამშრომლის და სხვა მოსწავლეების მიმართ. თანამშრომლებს მოეთხოვებათ, რომ ჰქონდეთ სამაგალითო ქცევა. მოსწავლის მიერ შეცდომის დაშვების შეთხვევაში, თანამშრომლებს მოეთხოვებათ რომ მოსწავლეს ყოველთვის უხელმძღვანელონ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ფორმით.

მოსწავლეების ზოგადი წესები:

- მოსწავლეებმა უნდა ჩაიცვან სკოლაში დადგენილი მოთხოვნების (Dress Code) შესაბამისად.
- მოსწავლეებმა არ უნდა მოიტანონ სკოლაში საშიში ან თრობის გამომწვევი ნივთები/ნივთიერებები.

- მოსწავლეებმა უნდა დატოვონ თავიანთი ქურთუკები და კლასში არასაჭირო დამატებითი ნივთები საკუთარ კარაღებში.
- მოსწავლეებმა უნდა დაიცვან ცხრილი, გამოცხადდნენ გაკვეთილებზე დროულად და მზად იყვნენ გაკვეთილის მყისიერად დაწყებისთვის მას შემდეგ, რაც დაირეკება ზარი.
- მოსწავლეებმა კლასები და სკოლის სხვა ტერიტორია უნდა დატოვონ სუფთა მდგომარეობაში.
- მოსწავლეებმა პატივი უნდა სცენ პერსონალის ყველა წევრს.
- მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ ელექტრონული ხელსაწყოები, როცა ამის ნებართვას მისცემს მასწავლებელი.

სკოლის წესები, აგრეთვე, ვრცელდება მოგზაურობებზე, ექსკურსიებზე და სკოლის გარეთა ღონისძიებებზე. ზოგადად, მოსწავლეები და მასწავლებლები წარმოადგენენ სკოლას და უნდა გასწიონ ძალისხმევა სკოლის კარგი იმიჯის შესანარჩუნებლად.

გაცდენის და დასწრების პროცედურა

IB-ში და ქართულ პროგრამაში მასწავლებლები აღრიცხავენ დასწრებას ყოველი გაკვეთილის დაწყებისას. ამერიკულ უმაღლეს სკოლაში, კლასის დამრიგებლები პასუხისმგებელი არიან დასწრების აღრიცხვაზე დღის დასაწყისში და შემდეგ გაკვეთილებზე საჭიროების მიხედვით. კლასის დამრიგებლები პასუხისმგებელი არიან მასწავლებლების მიერ მიწოდებული მონაცემების კომბინირებაზე და ელექტრონულ ჟურნალში შეყვანაზე რომ გამოითვალონ თითოეული მოსწავლის გაცდენების ჯამი. თითოეულ პროგრამას აქვს საკუთარი რეგულაციები რომლის მიხედვითაც განისაზღვრება მოსწავლის საპატიო ან არასაპატიო მიზეზით გაცდენების რაოდენობა.

პროგრამის კოორდინატორი პასუხისმგებელია გამოცდების განრიგის შედგენაზე და ჩატარებაზე იმ საგნებში, სადაც გაცდენები არასაპატიო მიზეზით აღემატება მისაღებ ზღვარს.

მოსწავლეებს არ აქვთ სკოლის დატოვების უფლება კლასის დამრიგებლის და შესაბამისი კოორდინატორის ნებართვის გარეშე, პროგრამის კოორდინატორმა და დირექტორმა შეიძლება მოსწავლეს მისცენ სკოლის დატოვების უფლება, მაგრამ კლასის დამრიგებელმა სიტუაცია უნდა შეატყობინოს მშობლებს/მეურვეებს.

სხვადასხვა

საგანგებო ევაკუაცია

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება არის ყველა თანამშრომლის პასუხისმგებლობა, საჭიროა მთელი პერსონალის მხარდაჭერა და ჩართულობა, რათა მიღწეული იქნას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტები. ყველა თანამშრომელმა:

- უშუალო უფროსს უნდა შეატყობინოს საფრთხის ან პოტენციური საფრთხის შესახებ.
- უნდა მოიქცეს პასუხისმგებლობით რომ არ შეუქმნას რისკი საკუთარ თავს ან სხვებს.

- იმუშაოს გავლილი უსაფრთხოების ტრენინგის წესების შესაბამისად და დაიცვას დადგენილი უსაფრთხო მუშაობის პრაქტიკა.
- ითანამშრომლოს მენეჯმენტთან, რათა მისცეს მათ საშუალება განახორციელონ ნებისმიერი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები.
- საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერი რისკის შეფასებაში ან უსაფრთხოების შემოწმების პროცესში.
- ხელი არ შეუშალოს ან ბოროტად არ გამოიყენოს ნებისმიერი რამ, რაც განკუთვნილია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად/დასაცავად.
- გაამყვანოს ნებისმიერი სამედიცინო მდგომარეობის ან მედიკამენტების გამოყენების დეტალები, რამაც შესაძლოა განსაზღვროს მათი შესასრულებელ სამუშაოსთან შეუსაბამობა ან დააყენოს ისინი რისკის ქვეშ.
- დაუყოვნებლივ შეატყობინოს ნებისმიერი სიტუაცია, რომელიც წარმოადგენს სერიოზულ და გარდაუვალ საფრთხეს ჯანმრთელობისთვის და უსაფრთხოებისთვის შესაბამისი პროცესის/სფეროს მაკონტროლებელ პირს.

მოწვევა

სკოლის მთელ ტერიტორიაზე მოწვევა აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მასწავლებლებს მოეთხოვებათ რომ დატოვონ სკოლის ტერიტორია თუ ისინი გადიან მოსაწვევად.

წლის დასასრულის მოლოდინები

რეალურად არსებობს „წლის დასასრულის“ ორი თარიღი – თარიღი, როცა მიდიან მოსწავლეები და თარიღი, როცა მიდიან მასწავლებლები. ეს თარიღები განსხვავდება წლიდან-წლამდე და პერსონალი იქნება ინფორმირებული ამ თარიღების შესახებ წლის დასაწყისში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში პერიოდული ცვლილებების გამო თანამშრომლებს მოეთხოვებათ, რომ იყვნენ მოქნილები სწავლის დაწყების/დასრულების თარიღებთან მიმართებაში.

პერსონალი ვალდებულია კოორდინატორებთან დატოვოს ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია წლის ბოლოს. კოორდინატორები გაუსვამენ ხაზს თუ რისი დატოვება არის საჭირო.

ოთახზე პასუხისმგებელი პერსონალი ვალდებულია, რომ უზრუნველყოფენ ოთახის სუფთა და მოწესრიგებულ მდგომარეობაში დატოვება. ზოგადად, მოსწავლეების ნამუშევრები, რომლებიც ინახება საკლასო ოთახებში უნდა დაუბრუნდეს მოსწავლეებს ან მოთავსდება პორტფოლიოში/ფაილში ან განადგურდეს (ბავშვის თანხმობით თუ ეს შესაძლებელია). სწავლების რესურსები და მასალები უნდა იყოს ჩალაგებული ყუთებში და აღინიშნოს კლასით (მაგ PYP4), მასწავლებლის სახელით და ოთახის ნომრით.

ხელშეკრულებები

ევროპული სკოლის ყველა თანამშრომელს მათ დანიშვნამდე მიეწოდება წერილობითი ხელშეკრულება და სამუშაოს აღწერილობა. უცხოელი თანამშრომლების შემთხვევაში,

ხელშეკრულება ფორმდება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

